კონცეფცია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) საქმიანობის შესახებ

წარმოდგენილი კონცეფცია არის შეხედულებათა სისტემა,რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებს მოიაზრებს როგორც ერთ მთლიან საუნივერსიტეტო სივრცეს და აყალიბებს ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკის სფეროში ადმინისტრაციის მიმართულებით მართვის გაუმჯობესების ხედვას.

კონცეფციის სამოქმედო დრო განისაზღვრება 4 წლით – საარჩევნო პერიოდით.

კონცეფციის აქტუალობა

კონცეფციის აქტუალობა განპირობებულია უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ადმინისტრაციის სფეროში მენეჯმენტის თანამედროვე სისტემების დანერგვის, მართვისა და მონიტორინგის აუცილებლობით.

კონცეფციის საფუძვლები

კონცეფცია ეფუძნება:

საქართველოს შრომის კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სსიპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ადმინისტრაციის უფლებამოსილებებს.

კონცეფციის პრინციპები

აღნიშნული კონცეფცია,ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), როგორც ფინანსური,მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **გამჭვირვალობას**
- **ეფექტურობას**
- **ანგარიშვალდებულებას**

და მხარს უჭერს უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარების ევოლუციურ გზას.

კონცეფციის მიზანი

კონცეფცია მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ფინანსურ ავტონომიურობას და განიხილავს მას, როგორც საუნივერსიტეტო სივრცის ავტონომიურობის უტყუარ გარანტს, ხოლო საარჩევნო პერიოდს – როგორც პროცესს, გზას აღნიშნული მიზნისაკენ.

კონცეფციის ამოცანები

- პრობლემათა იდენტიფიცირება
- მონაწილეობის მიღება საერთო საუნივერსიტეტო სივრცის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებაში
- სტრუქტურული ოპტიმიზაცია
- მართვის ახალი სისტემების დანერგვა

ადმინისტრაციის როლი საუნივერსიტეტო სივრცეში

აღნიშნული კონცეფცია მხარს უჭერს თსუ მართვის ორგანოების ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობის საჭიროებებს. განიხილავს ადმინისტრაციისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობას როგორც მნიშვნელოვან და ხელშემწყობ კომპონენტს უნივერსიტეტის სასწავლო–სამეცნიერო სფეროში წარმატების მისაღწევად. გამიჯნავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის პერსონალის უფლება–მოვალეობებს.

უნივერსიტეტის ავტონომიურობა და ავტონომიურობა უნივერსიტეტში

კონცეფცია განიხილავს,ერთი მხრივ უნივერსიტეტის ავტონომიურობის მოპოვებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) მნიშვნელოვან როლს კომპეტენციის ფარგლებში, და მეორე მხრივ საუნივერსიტეტო სივრცეში ავტონომიურობის დამკვიდრების გარდაუვალ აუცილებლობას.

ადმინისტრაცია და სტუდენტობა

კონცეფცია აღიარებს სტუდენტის ხარისხიანი განათლების მიღებისა და მეცნიერულ კვლევაში მონაწილეობის უფლებას და ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის სათანადო პირობების შექმნას.

კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს თვითმმართველი სტუდენტური ინსტიტუციის განვითარების შესაძლებლობებს.

დოკუმენტი ითვალისწინებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმების შემუშავებას, სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

ფინანსური და მატერიალური რესურსები

კონცეფცია განიხილავს ადმინისტრაციისა და მისი ხელმძღვანელის მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტის სახელმწიფო დაფინანსებაზე ნაკლებად დამოკიდებული სისტემიდან ფინანსურ ავტონომიად გარდაქმნის მომზადებაში.

შეიმუშავებს უნივერსიტეტის ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მექანიზმებს,აქტიურად გამოიყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების არსებული წყაროების შესაძლებლობებს. მათ შორის,უნივერსიტეტში წარმოებულ თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობას განიხილავს როგორც თანხების მოზიდვის საინტერესო მექანიზმს და აუთვისებელ რესურსს.

კონცეფცია ითვალისწინებს ბიუჯეტის დეცენტრალიზაციის აუცილებლობას და ღონისძიებებს ადმინისტრირების გაძლიერების მიზნით.

კონცეფცია სთავაზობს აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ–მასწავლებლებს გამჭვირვალე ბიუჯეტის ფორმირებაში, მართვასა და მონიტორინგში.

საკადრო პოლიტიკა

კონცეფცია ერთიანი საუნივერსიტეტო საკადრო პოლიტიკის განხორციელებას განიხილავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისადმი დიფერენცირებული მიდგომებით.

საკადრო საკითხებისადმი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნოვატორული მიდგომა უკავშირდება „ეფექტური ხელშეკრულების“ სისტემის დანერგვას,რაც გულისხმობს შრომით ურთიერთობებში სრულიად ახალი ტიპის ხელშეკრულების გაფორმებას.

გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებით ჩატარებული კონკურსებისა და თანამშრომელთა ატესტაციების ორგანიზებას.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების შემუშავებას.

საუნივერსიტეტო სივრცეში ადმინისტრაციული მართვის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დანერგვას.

მომსახურება და სოციალური დაცვა

წარმოდგენილ დოკუმენტში ყურადღება ეთმობა:

უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ბლოკის პრობლემის მოგვარებას.

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით თანხების მოძიებას არსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციისა და ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის მიზნით.

წინადადებების შემუშავებას უნივერსიტეტის ცხოვრებაში კურსდამთავრებულთა პოტენციალის აქტიურად გამოყენების მიზნით.

საუნივერსიტეტო ფონდის დაფუძნების შესაძლებლობების განხილვას საქმიანობის ორი მიმართულებით წარმართვის მიზნით: ერთი მხრივ ამაგდარ მეცნიერთა და პედაგოგთა და მათი ოჯახების ფინანსური დახმარების გასაწევად და მეორე მხრივ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასახმარებლად.

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტი მოიაზრება როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე,იგი განიხილება როგორც პროექტი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორთან,მართვის სხვა ორგანოებთან,პროფესორ–მასწავლებლებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სტუდენტურ ჯგუფებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას გამოთქმული მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით იქცევა უნივერსიტეტის რექტორთან კოორდინირებული საქმიანობისთვის საარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) სამოქმედო დოკუმენტად მას შემდეგ, რაც წარმომადგენლობითი საბჭო დაამტკიცებს აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ პრეტენდენტს.

11.12.2015

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის)
სამოქმედო გეგმა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმას და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) საქმიანობის შესახებ“ კონცეფციის განუყოფელ ნაწილს. დოკუმენტი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო (საუნივერსიტეტო) სივრცეში გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული მმართველობის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

გამჭვირვალობა ,რაც მიზნად ისახავს:

სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებაში;
სტუდენტთა ჩართულობის გაზრდას უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავებისა და განკარგვის პროცესში;
ელექტრონული მმართველობის შემოღებას;
ინფორმაციის მიწოდების მასშტაბის გაზრდას;
ინფორმაციის წვდომის გამარტივებას;
IT ტექნოლოგიების გაუმჯობესებას,ვებ–გვერდის პერიოდულ განახლებას;
საჯარო ინფორმაციის მიწოდების სრულყოფას;
საჯარო პრეზენტაციების პერიოდულ ორგანიზებას მედიისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ.

ეფექტურობა, რაც მიზნად ისახავს:

სასწავლო–სამეცნიერო პროცესის პირობების სრულყოფას;
სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას;
მეცნიერული კვლევების დასკვნების დანერგვია ხელშეწყობას;
ადმინისტრაციაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაციას;
საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის პრაქტიკაში დანერგვას,პროგნოზირებას;
საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაციას, ფაკულტეტის ფინანსური შესაძლებლობების გაზრდას;
ბიუჯეტის მიზანმიმართულად ხარჯვას;
თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას;
მენეჯმენტის ყოველთვიური ანგარიშების წესის შემუშავებას;
მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფას;
ინფრასტრუქტურის გაფართოებას და გაუმჯობესებას;
მონაწილეობას დისტანციური და ელექტრონული სწავლების კონცეფციის განხორციელებაში;

მონაწილეობას დისტანციური და ელექტრონული სწავლების კონცეფციის განხორციელებაში;
შრომის კულტურის გაუმჯობესებას;
სტიმულირების მექანიზმების დანერგვას;
შიდა ტრენინგების პროგრამის პრეზენტაციას;
პრობლემებზე ოპერატიულ რეაგირებას.

ანგარიშვალდებულება:

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან;
აკადემიურ საბჭოსთან და წარმომადგენლობით საბჭოსთან;
სტუდენტთა თვითმმართველობასთან, სტუდენტურ ჯგუფებთან;
საზოგადოებასთან, მედიასთან.

ს. ... 11.12.2015